

სკოლა შპს „პროგრესი 010“
2018- 2019 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა

სასკოლო სასწავლო გეგმის საჩევი

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

- ✓ სკოლის მისია;
- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით;
- ✓ სასწავლო კალენდარი;
- ✓ დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა;
- ✓ საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები;
- ✓ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
- ✓ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);
- ✓ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;
- ✓ სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;
- ✓ სასკოლო საათობრივი ბადე;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია

სკოლის მისია --სკოლა , რომ გახდეს პოპულარული უნდა ამდლდეს სწავლის ხარისხი , ახალი იდეების დანერგვის და წარმატების დიდი სურვილის დახმარებით.

მიზნის მისაღწევად სკოლაში შევექმნით შრომისა და სწავლის მაღალ მოტივაციას, მეგობრობის, პატივისცემის ატმოსფეროს. ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ადამიანი ყველაზე ძვირფასი რესურსია და გვჯერა სკოლას მშობლები ყოველმხრივ დაეხმარება თავიანთი შვილების შესაძლებლობების სრულყოფილად გამოვლინებაში.

სკოლა შპს „პროგრესი 010“ განახორციელებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საზოგადოების დაკვეთას ზოგადსაგანმანათლებლო განათლების სამივე საფეხურზე. აქედან გამომდინარე სკოლის მისიაა : განსწავლული ,მიზანდასახული , კონკურენტუნარიანი, მაღალი ღირებულებების მქონე მომავალი თაობის მომზადება, რომლებსაც ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნასთან ერთად ექნებათ სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი დემოკრატიული და ჰუმანური ფასეულობები.

უზრუნველყოს სკოლამ თითოეულ მოსწავლეს მისცეს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოვლენის და ობიექტურად თვითშეფასების საშუალებები.

მუდმივად იზრუნოს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ–ჩვევების შეფასებათა მაქსიმალურად ობიექტური და გამჭირვალე სისტემის შექმნაზე.

უზრუნველყოს მოსწავლეთა და თანამშრომელთა შორის ურთიერთპატივისცემის , კეთილგანწყობის და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.

სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები საფეხურების მიხედვით

2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის №63/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე.

სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება მიმდინარეობს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე (I-XII კლასები).ა/ დაწყებითი -I-VI კლასები:

ბ/ საბაზო - VII-IX კლასები:

გ/ საშუალო - X-XII კლასები:

დაწყებითი საფეხურის მისია:

- საგანთა თანმიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური. ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა:
- საბაზო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა:
- სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისათვის..

საბაზო საფეხურის მისია:

- საბაზო საფეხურის მისიაა საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა. მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება. აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძველების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის ან შრომითი საქმიანობისათვის:

საშუალო საფეხურის მისია:

- საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება:
- მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და ოასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია

გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი შეასქმნელად:

სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

- ✓ პრობლემების გადაჭრა;
- ✓ კრიტიკული აზროვნება;
- ✓ შემოქმედებითი აზროვნება;
- ✓ თანამშრომლობა;
- ✓ კომუნიკაცია;
- ✓ ეთიკა;
- ✓ მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა;
- ✓ დროსა და სივრცეში ორიენტირება;
- ✓ კვლევა;
- ✓ სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა;
- ✓ პასუხისმგებლობა;
- ✓ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- ✓ წიგნიერება;

სასწავლო გეგმა ასევე გამოყოფს პრიორიტეტულ თემებს:

- ✓ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- ✓ გარემოს დაცვა;
- ✓ ჯანსაღი ცხოვრება;
- ✓ სამოქალაქო უსაფრთხოება;
- ✓ კონფლიქტების მართვა;
- ✓ ფინანსური წიგნიერება;
- ✓ კულტურული მრავალფეროვნება;

სკოლა ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების უზრუნველყოფისათვის ხელსშეუწყობს ენობრივ განათლებას.

განათლების ენები მოიცავს:

- ✓ სწავლა-სწავლების ენას;
- ✓ საგნის ენას;

✓ ენას, როგორც საგანს:

განათლების ენათა ინტეგრირებული სწავლა-სწავლების მთავარი ინსტრუმენტია სწავლის სტრატეგიები.

ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპებია:

- ✓ სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.
- ✓ სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით:
- ✓ სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას:
- ✓ სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას:
- ✓ სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს:

ა/ დეკლარატიული ცოდნა სტატისტიკური ხასიათისაა. იგი გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას: რა ვიცი?

ბ/ პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას: როგორ გავაკეთო/ როგორ შევასრულო?

გ/ პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობას იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადექვატურად გამოყენებას და პასუხობს კითხვას: როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა?

სკოლაში ძირითადი მეთოდური ორიენტირები უნდა იყოს:

ა/ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა

ბ/ სწავლა/სწავლების პროცესში თანაბარუფლებიანობის დაცვა;

გ/ სიღრმისეული სწავლება;

დ/ მოსწავლის მოტივაციის გაზრდა;

ე/ დისციპლინა;

სკოლამ საგნების სწავლას -საგნის მასწავლებლების და მოსწავლეების აქტივობების , მშობლების ჩართულობით ხელი უნდა შეუწყოს: ა/ სკოლის საეთო კულტურის დაცვას; ბ/ ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პატივისცემას; გ/ კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას; დ/ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას; ე/ გარემოსდაცვითი განათლების მდგრადი განვითარების მიდგომას; ვ/ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას; ზ/ სამეწარმეო უნარების განვითარებას.

2018-2019 სასწავლო წლის კალენდარი

სკოლაში სწავლების ენა ქართულია.

1. სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტერს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები.
2. 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების თარიღებია: 2018 წლის 17 სექტემბერი და 2019 წლის 16 ივნისი.
3. 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება 2018 წლის 28 დეკემბერს. მეორე სემესტრი იწყება 2019 წლის 15 იანვარს და მთავრდება 2019 წლის 16 ივნისს. მეთორმეტე კლასებისთვის სასწავლო პროცესი სრულდება 20 მაისს;
5. I-XI კლასისათვის სასწავლო წელი მოიცავს 36 კვირას / 175 სასწავლო დღეს პირველი სემესტრი-75 სასწავლო დღე; მეორე სემესტრი - 100/; მეთორმეტე კლასისთვის 32 კვირა / 150 სასწავლო დღეს , პირველი სემესტრი-70 სასწავლო დღე; მეორე სემესტრი - 80/; პირველი კლასისთვის 157 სასწავლო დღეს / პირველი სემესტრი-62 სასწავლო დღე; მეორე სემესტრი - 95)/:

უქმე დღეებია:

- ✓ 14 ოქტომბერი-მცხეთობა;
- ✓ 23 ნოემბერი-გიორგობა;
- ✓ 19 იანვარი-ნათლისღება;
- ✓ 3 მარტი-დედის დღე;
- ✓ 8 მარტი- ქალთა საერთაშორისო დღე;
- ✓ 9 აპრილი- საქ.სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;
- ✓ 9 მაისი -ფაშიზმზე გამარჯვების დღე
- ✓ 12 მაისი- წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე;
- ✓ 26 მაისი- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;

4. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგაკვეთილო პროცესი

გრძელდება 10 სთ-დან 15.30 სთ-მდე.

5. 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში არდადეგები არის ორჯერ:

- ✓ *საშობაო არდადეგები 2018 წლის 29 დეკემბრიდან 2019 წლის 15 იანვრის ჩათვლით;*
- ✓ *სააღდგომო არდადეგები 2019 წლის 26 აპრილიდან 29 აპრილის ჩათვლით.*

6. გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45 წუთი (გამონაკლისს წარმოადგენს პირველი კლასი, სადაც გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი).

7. გამონაკლისი შესაძლებელია დაშვებულ იქნეს ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ.), როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების და/ან დასვენებების ხანგრძლივობები სასწავლო დღის შემცირების მიზნით.

8. პირველ კლასში:

ა) საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული იქნება განმავითარებელი, დიდაქტიკური თამაშები;

ბ) გაკვეთილის დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ, დრო დაეთმობა ფიზიკურ აქტივობებს (3-5 წუთი);

გ) გაკვეთილის მიმდინარეობა იქნება აქტიური და პასიური აქტივობების მონაცვლეობით (მაგ., საკითხავ დავალებას მოჰყვება ხატვა ან როლური თამაში);

დ) შესაძლებლობის ფარგლებში, საკლასო გარემო დაიყოფა რამდენიმე ნაწილად, რომელთაგან მინიმუმ ერთი დასვენებასა და თავისუფალ აქტივობას დაეთმობა.

კლასის დამრიგებლის მუშაობის მიზანი

დამრიგებელი მოსწავლის მრჩეველად მოიაზრება. მისი მუშაობა უნდა ემყარებოდეს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ხელს უწყობდეს მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებას, მათ ჩაბმას სხვადასხვა კლუბსა თუ წრეში; ასევე, უნდა უწყობდეს ხელს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უნდა უვითარებდეს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

დამრიგებლის მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში; ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, განუვითაროს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერება და დაეხმაროს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში; აკადემიური თუ სხვა პრობლემის გადაჭრაში;

კლასის დამრიგებლის მოვალეობები

დამრიგებელს ევალება:

1. წლიური სადამრიგებლო სამუშაო გეგმის შედგენა და დირექტორის მოადგილესთან შეთანხმება;
2. გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს /კანონიერ წარმომადგენელს /შემდგომში მშობელი/ მათი უფლებები და მოვალეობები /სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები/.
3. დაწყებით საფეხურზე ჩაატაროს სადამრიგებლო საათი: ა/ ორ კვირაში ერთხელ; ბ/საბაზო-სასუალო საფეხურზე თვეში ერთხელ: სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელი იმუშავებს მოსწავლის ასაკის შეასაბამისად სხვადასხვა უნარების განვითარებაზე /მაგ. კითხვის უნარის განვითარება , საბაზო-სასუალო საფეხურზე ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვაზე/.
- 4 . დაეხმაროს მოსწავლეებს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;
5. იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;
6. რეგულარულად /მინიმუმ თვეში ერთხელ მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის , დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების დასწრების აღრიცხვის ყოველდღიური შემოწმება; დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის მშობლის თანდასწრებით საუბარი;
7. საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლეებთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

8. ა/სასწავლო წლის დასაწყისშივე მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ;

ბ/ თუ მოსწავლე სკოლას აცდენს, დამრიგებელი ვალდებულია, გაიგოს გაცდენის მიზეზი, აცნობოს სკოლის დირექციას და საკითხთან დაკავშირებით შეასრულოს მისი ვალდებულებები;

გ) დამრიგებელი პერიოდულად უნდა ეკითხებოდეს საგნის მასწავლებლებს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების, პიროვნული პრობლემებისა თუ ზოგადი წარმატებების შესახებ.

დ) სასწავლო წლის ბოლოს გაანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები გაკვეთილებზე, დასწრება და ქცევა მასწავლებლებისაგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება, ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით; თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათებას, სადაც აღწერს:

- მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მის წარმატებებს როგორც აკადემიური, ისე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მონაწილეობას წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში.
- მოსწავლის კოგნიტური (შემეცნებითი), ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც სასარგებლო იქნება მოსწავლისათვის.

ე) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საშუალო წლიური ნიშანი 6-ზე დაბალია, დამრიგებელი ვალდებულია, გააფრთხილოს მშობელი და მოსწავლე იმის შესახებ, რომ სასწავლო წლის ბოლომდე (ან მომდევნო სასწავლო წელს) აუცილებელია მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა, რათა მოსწავლემ შეძლოს სასწავლო პროგრამის წარმატებით დაძლევა.

9/მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში:

10/დამრიგებელი გაეცნოს სამინისტროს და სამინისტროს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ შემუშავებულ და/ან რეკომენდირებულ შესაბამის მეთოდურ სახელმძღვანელოებსა და გზამკვლევებს.

დამრიგებლის საადმინისტრაციო მუშაობა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

1. **სრულფასოვანი აღზრდა** - საადმინისტრაციო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ; საადმინისტრაციო მუშაობის მთავარი ამოცანაა ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანსაღი მოქალაქის აღზრდა;

2. **მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა**-დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის ყველა პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების

გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა: ყველა ბავშვი უნიკალურია. ისინი დაჯილდოებულნი არიან განსხვავებული ნიჭითა და შესაძლებლობებით. შესაბამისად,

დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაცია.

3. მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალება უნდა მისცეს მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. დამრიგებელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები;

4. მოსწავლეთა ჩართულობა - სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა მოსწავლეებს გამოუმუშავებს ისეთ უნარ-ჩვევებს, რომლებიც დაეხმარება მათ დამოუკიდებლად მოაგვარონ ცხოვრებაში წამოჭრილი სირთულეები და ხელს შეუწყობს თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას;

5. თანამშრომლობის პრინციპი - დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას. დამრიგებლის მუშაობის მიზანი უნდა იყოს კლასში თანამშრომლობითი გარემოს შექმნა.

რეკომენდაცია სადამრიგებლო საათის პროგრამის განხორციელებისათვის

დამრიგებლის კლასთან მუშაობა, სასურველია, შემდეგი ფორმით მიმდინარეობდეს: საუბრები მოსწავლეთან, დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, ვიქტორინების, ზეიმების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება, მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა.

დამრიგებლებმა ყველაზე უკეთ იციან კლასის საჭიროებები და სწორედ აქედან გამომდინარე გეგმავენ შეხვედრებსა და ღონისძიებებს. შეხვედრებს სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს და წინასწარ უნდა იყოს დაგეგმილი, ყველაზე მცირე დაწყებით საფეხურზე ორ კვირაში ერთხელ. საბაზო-საშუალო საფეხურებზე თვეში ერთხელ. დამრიგებელი უნდა თანამშრომლობდეს მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან, ხელს უწყობდეს სხვადასხვა კულტურულ თუ გასართობ და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (მაგ., ბიბლიოთეკებთან) ურთიერთობის დამყარებას.

სადამრიგებლო საათის მიზანია მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე:

1. პიროვნული და მორალური განვითარება - მე - პიროვნება, სოციუმი ჩემ გარშემო, ურთიერთობა თანატოლებთან და უფროსებთან, ტოლერანტობა, ადამიანთა უფლებები, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, ეტიკეტი;

2. გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება - გავაგებინოთ მოსწავლეებს ბუნების კომპლექსურობა და ხელოვნური გარემო, მათი ბიოლოგიური, ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტების ინტერაქციის შედეგად და შეიძინონ ცოდნა,

ღირებულებები, დამოკიდებულებები და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რათა პასუხისმგებლობით და ეფექტურად შეიტანონ წვლილი გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში;

3. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია - პირადი ჰიგიენა, ავადმყოფობის გავრცელების წყაროები, სასარგებლო საკვები, დროის ორგანიზება, დღის რეჟიმი, სპორტის მნიშვნელობა, მანვე ჩვევების საფრთხე, გარემოს და ბუნების მოფრთხილება;

4. მეწარმეობის უნარების განვითარება - მოსწავლეებმა მიიღონ ცოდნა და თავიდანვე გამოუმუშავდეთ შესაბამისი უნარები, რათა მომავალში თავად გახდნენ მეწარმეები და დაასაქმონ ადამიანები;

5. უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია - შევქმნათ სკოლაში უსაფრთხო და მზრუნველი გარემო. ხელი შევუწყოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდას. ☒ ავიცილოთ თავიდან დისკრიმინაცია;

6. მოქალაქეობრივ - პატრიოტული ცნობიერება - ჩემი სკოლა, ჩემი ქალაქი/სოფელი, ჩემი სამშობლო, ისტორია, გამოჩენილი პიროვნებები, მნიშვნელოვანი მოვლენები, ტრადიციები, წესები და კანონები;

7. თვალსაწიერის გაფართოება - ხელოვნების, ლიტერატურის, ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევების მნიშვნელობა.

დაწყებით კლასებში (I-IV კლასები) დამრიგებელი ვალდებულია ორ კვირაში ერთხელ ჩაატაროს კითხვის საათი, რომელიც ორიენტირებული იქნება წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე შემდეგი მეთოდებით:

- ა) კითხვის ტექნიკის გაძლიერებით;
- ბ) წაკითხულის განხილვა-გააზრებით;
- გ) ანალიზის უნარის განვითარებით;
- დ) მსჯელობის უნარის განვითარებით;
- ე) პრეზენტაციის უნარის განვითარებით;
- ვ) შემოქმედებითი უნარების განვითარებით და სხვ.

1. სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ-პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს, რაც წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებელ-დამრიგებელს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს.

2. დამრიგებელი ვალდებულია კლასის მოსწავლეებთან ჩაატაროს შემდეგი სამუშაოები: კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, საუბრები, დისკუსიები, ვიქტორინები, ზეიმები, ექსკურსიები, ლაშქრობები; მოსწავლეებისათვის შეხვედრების მოწყობა ცნობილ ადამიანებთან პოეტებთან და სხვა საზოგადო მოღვაწეებთან.

3. კლასის დამრიგებელი უნდა თანამშრომლობდეს მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან, ხელს უწყობდეს სხვადასხვა კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (მაგ.: ბიბლიოთეკებთან, მუზეუმებთან და სხვ.) ურთიერთობის დამყარებას.

საბაზო და საშუალო საფეხურებზე, კერძოდ, IX კლასსა და XI ან XII კლასში დამრიგებელმა უნდა

ჩაატაროს სადამრიგებლო საათი თვეში ერთხელ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები.

X კლასში სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა უნდა იმუშაოს ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების თემატიკაზე.

I X და X I კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებისათვის / IX კლასში 8 გაკვეთილი და XI კლასში 4 გაკვეთილი/ მოლაპარაკება შედგა ჩვენი რაიონის სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან. ზუსტ დროს გვაცნობებენ , ძირითადი განრიგი /მონახაზი/ შედგენილია.

-იმედა კოჭლამაზაშვილი-სოფლის მეურნეობაში დასაქმებული , T 557 719 722; /ნოემბერი , დეკემბერი/ IX, XI კლ.

-ბესიკი ყოჩიაშვილი-ფერმერი- 599 177 064 /იანვარი, თებერვალი/ IX, XI კლ.

- ნინო კოჭლამაზაშვილი-ექიმი- სამედიცინო ამბულატორია /ნოემბერი, აპრილი/ T 599 914192.

- მაია ხუციშვილი- კულინარიული მომსახურება-მასტერკლასები , ექსკურსია, /მაისი, ივნისი/ IX, XI კლ. T 593 75 90 07.

- გვანცა ბაკაშვილი,საბანკო მომსახურება, მენეჯერი. T 595 807 169 , /დეკემბერი ,მაისი/ XI კლ.

- დავით ფხოველიშვილი - საწარმო „ნუგზარი“ - მასტერკლასები, ექსკურსია, T 595 310 250 , /ოქტომბერი , თებერვალი/ IX, XI კლასი.

2018-2019 სასწავლო წელი დაკომპლექტდა --12-- კლასით:

- | | |
|---------------|---------------------------------|
| 1. I კლასი | დამრიგებელი- ქეთევან ტურაშვილი |
| 2. II კლასი | დამრიგებელი- მანანა ქშუტაშვილი |
| 3. III კლასი | დამრიგებელი-ქეთევან ყარალაშვილი |
| 4. IV კლასი | დამრიგებელი-მანანა ქშუტაშვილი |
| 5. V კლასი | დამრიგებელი-ელენე ზურაბაშვილი |
| 6. VI კლასი | დამრიგებელი-ნატალია მულაძე |
| 7. VII კლასი | დამრიგებელი-მზია სიხაშვილი |
| 8. VIII კლასი | დამრიგებელი- მზია სიხაშვილი |
| 9. IX კლასი | დამრიგებელი- მარინა ოსკანოვი |
| 10. X კლასი | დამრიგებელი-მარიამ ქოქოაშვილი |
| 11. XI კლასი | დამრიგებელი-ხათუნა გველუკაშვილი |
| 12. XII კლასი | დამრიგებელი-თეონა ბახტურიძე |

დამრიგებელი

----- 2018 წელი

მოსწავლის სახელი და გვარი

კლასი -----

მოსწავლის სოციალური, ინტელექტუალური, აკადემიური მოსწრების შეფასების ცხრილი

1. პასუხისმგებლობა	სისტემატიურად ასრულებს დავალებებს	არასოდეს ავიწყდება სასწავლო ნივთები. არ აცდენს, არ აგვიანებს	იცავს მოსწავლეთა ქცევის კოდექსს, აცნობიერებს თავისა და სხვის უფლებებს
2. თანამშრომლობა	ზრდილობიანია და პატივს სცემს სხვებს, გამოხატავს პატივისცემას განსხვავებული აზრის მიმართ	თანამშრომლობს ჯგუფებთან მუშაობის დროს	მეგობრულია და კომუნიკაბელური
3. კრიტიკული აზროვნება	მონაწილეობს დისკუსიებში, ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას	ბევრ კითხვას სვამს, მაძიებელია	აქვს საინტერესო იდეები
4. ცოდნის გამოყენება	ახარისხებს საჭიროების მიხედვით მოპოვებულ ინფორმაციას, ახერხებს მიღებული ცოდნის დაკავშირებას კონკრეტულ საკითხთან	ორგანიზებულია, იცავს დროის ლიმიტს, ატარებს ექსპერიმენტს, ახდენს შეფასებასა და ანალიზს	სვამს პრობლემას და განსაზღვრავს გადაჭრის გზებს
5. საპრეზენტაციო უნარები	ნათლად და გასაგებად გადმოსცემს სათქმელს, ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან	იყენებს თვალსაჩინოებებს და ტექნიკურ საშუალებებს	იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ფლობს ინფორმაციის მოპოვება-დამუშავების უნარებს
6. შემოქმედებითობა	აქვს პრობლემის გადაჭრის ორიგინალური იდეები	ანალიზებს მოვლენებს და ფაქტებს, ყოველთვის აქვს განსაკუთრებული ინტერპრეტაცია	შემოქმედია, შეუძლია სხვადასხვა ჟანრისა და სტილის შექმნა

7. ლოგიკური აზროვნება	შეუძლია მიღებული შედეგების განზოგადება, კავშირის დამყარება სხვა სტრუქტურებთან	ახერხებს პრობლემის გადაწყვეტის საინტერესო ალგორითმის ჩამოყალიბებას, მიღებული გადაწყვეტილების სისწორისა და ეფექტურობის დასაბუთებას	ახერხებს სხვადასხვა სახით წარმოდგენილი ინფორმაციის ინტერპრეტაციას, ადგენს კავშირებს და მიმართებებს, აყალიბებს ანალოგიებს, ახდენს საკითხის არსის წარმოჩენას

თითოეული კომპონენტი ფასდება სამი ქულით: 3 - მკაფიოდ გამოხატული თვისება ან უნარი

2 - ნაკლებად გამოხატული თვისება ან უნარი

1 - სუსტად გამოხატული თვისება ან უნარი

ჯამური ქულა ____

ანალიზი.....

.....

.....

.....

რეკომენდაცია

1)

1)

2)

3)

დამრიგებელი

დირექტორის მოადგილე

მშობელი

საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები

სკოლაში არის ოთხი საგნობრივი კათედრა:

- ❖ ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხოური ენების კათედრა;
- ❖ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მათემატიკისკათედრა;
- ❖ დაწყებითი კლასების კათედრა (I- IV კლასები)
- ❖ საზოგადოებრივი მეცნიერებების;
- ❖ ესთეტიკური აღზრდისა და ფიზიკური აღზრდის / სპორტის საგნების კათედრა;

ეს კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში ყველა მასწავლებელს.

კათედრების ფუნქციებია:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინაცია;
- კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების და წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების (მათ შორის სახელმძღვანელოების) შერჩევა;
- შეფასების კომპონენტების შემადგენელი კრიტერიუმების შემუშავება და აღწერა;
- სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობის წარმოება (მაგ. ისტორიასა და ქართულში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვა.);
- ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის;
- რეკომენდაციების შემუშავება დამხმარე სასწავლო მასალებისა და ბიბლიოთეკისთვის საჭირო წიგნების შესახებ;
- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა–სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გრაფიკის შედგენა, დაცვა და შესრულება. მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების შედეგების განხილვა და შეფასება;
- სხვადასხვა სახის აქტივობების ორგანიზება ყოველთვიურად, რომლებიც გააერთიანებს სხვადასხვა კლასის, ჯგუფების და განაყოფების მოსწავლეებს;
- უზრუნველყოს მოსწავლეთა მონაწილეობა სხვადასხვა სახის კონკურსებში, ოლიმპიადებსა და კონფერენციებში;
- მასწავლებელთა შეფასების ჯგუფში კათედრის წარმომადგენლის არჩევა;
- შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი.
- სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა.

კათედრების მოწყობა

კათედრის წევრებიდან ერთი სასწავლო წლის ვადით აირჩევა კათედრის თავმჯდომარე. ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ მხოლოდ სამჯერ.

კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:

- ა) კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);
- ბ) სკოლის მართვის ორგანოებისათვის კათედრის შეხვედრების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდება (მაგ. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);
- გ) პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვ.) ორგანიზება;
- დ) კათედრის სამუშაო წლიური გეგმის შედგენა.

კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ, კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე. კათედრის პირველ სხდომაზე, მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმის, საგნობრივი პროგრამებისა და შესაბამისად არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების განხილვა. განიხილება ასევე თუ რა საჭიროებები ექნებათ მასწავლებლებს წლის განმავლობაში; რა პრობლემების გადაჭრა იქნება აუცილებელი; რა რესურსების გამოყენება იქნება საჭირო ეფექტურად სწავლებისათვის და ა.შ.

ყოველი სემესტრის ბოლოს კათედრის სხდომაზე ხდება განხილვა საგანმანათლებლო სტანდარტის და კათედრის დებულების შესრულების მიმდინარეობისა. ამ დროს ხდება პრობლემის გამოვლენა და შეფასება, თუ რა ხარისხით იქნება შესაძლებელი ყველა მოსწავლისთვის საგნობრივ პროგრამებში აღწერილი შედეგების მიღწევა. საჭიროების შემთხვევაში იწერება რეკომენდაციები სკოლის სასწავლო გეგმაში და კათედრის დებულებაში შესატანი ცვლილებების შესახებ.

ეროვნული სასწავლო გეგმით
გათვალისწინებელი/გათვალისწინებული
საგანმანათლებლო და სააღმზრდელო
მომსახურეობა

ეროვნულ სასწავლო გეგმაში
გათვალისწინებელი
დამატებითი საგნები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით სკოლას შეუძლია, საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. ასეთი სახის მომსახურება შესაძლებელია სკოლამ შესთავაზოს მოსწავლეს, როგორც სკოლის ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული, ასევე ფასიანი მომსახურების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული ფაკულტატიური ან სავალდებულო საგნის სახით.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაუთვალისწინებელი დამატებითი საგნები

სკოლა მოსწავლეებს ვერ სთავაზობს დამატებით გაუთვალისწინებელ მომსახურებას .

სავალდებულო არჩევითი საგნების განაწილება საგნობრივი ჯგუფების მიხედვით

მე-10 კლასი	მე-11 კლასი	მე-12 კლასი
სახელმწიფო და სამართალი	სახელმწიფო და სამართალი (II მოდული; ისწავლება ორი სემესტრი)	სახელმწიფო და სამართალი (I I მოდულის I მოდული; ისწავლება პირველი სემესტრი)

შპს "პროგრესი010"

საათობრივი ბაღე კლასების მიხედვით

2018-2019 სასწავლო წლისთვის

N	საგნები/კლასები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	აბ.	შენ
	ქართული ენა და ლიტ.	7	7	6	6	5	5	5	5	5	5	5	5	1	
	მათემატიკა	5	5	5	5	5	4	4	4	4	5	5	5	1	
	უცხოური ენები														
	ინგლისური	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	2	2	
	რუსული					2	2	2	2	2	2	2	2		
	საზოგადოებრივი მეცნ														
	ჩვენი საქართველი					2	3								
	ისტორია							3	3	3	2	3	2	1	
	გეოგრაფია							2	2	2	2	2			
	სამოქალაქო განათლება									2	3				
	მე და საზოგადოება			2	2										
	სამოქ. თავდ. და უსაფრთხოება				0/5				0/5				0/5		
	საბუნებისმ. მეცნიერე.														
	ბუნებისმეტყველება	2	2	2	2	3	3								
	საბ. მეცნიერ.საფ-ბი							3							
	ბიოლოგია								2	2	3	2			
	ფიზიკა								2	3	2	2			
	ქიმია								2	2	2	3			
	ტექნოლოგიები:														
	ისტ.	0/5				2	2								
	ესთეტიკური აღზრდა														
	სახ.და გამოყ.ხელოვ.	2	2	2	2	2	2	2	2/1	1/2					
	მუსიკა	2	2	2	2	2	2	2	1/2	2/1					
	სპორტი	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	1/5	2		
	საგზაო ნიშნები											1/5			
	არჩევითი საგნები:														
	სახელმწ.და სამართ.										2	2	2		
	სულ	23,5	23	21	23,5	29	29	30	29,5	33	33	31	20,5	9	

1. მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასზე ზრუნვა და მეორე მხრივ, სწავლის ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი პროცესითანმიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად. შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლია კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

აკადემიური მოსწრების შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი, რათა მან, ერთი მხრივ, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, როგორც ამას მოითხოვს ეროვნული სასწავლო გეგმა და, მეორე მხრივ, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და განვითარების თანაბარი პირობები შეუქმნას განსხვავებული პოტენციალის მქონე ყველა მოსწავლეს. მრავალმხრივი განვითარების უზრუნველყოფა მოითხოვს მოსწავლის შეფასებას მრავალგვარი კრიტერიუმის გამოყენებით და მრავალფეროვანი აქტივობების (მაგ., ესე, პროექტი, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტი, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერიტი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.) საშუალებით, რაც მოსწავლეებს მისცემს არამხოლოდ ცოდნის, არამედ უნარ-ჩვევების ფართო სპექტრისა და აზროვნების განსხვავებული ფორმების დემონსტრირების საშუალებას.

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: ა/ აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება:

ბ/ახალი სასწავლო საკითხის ძიების დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები:

გ/ გამოავლინოს რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას. ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად:

დ/მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა:

ე/აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურადგამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში:

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურკონტექსტის მქონედავალეებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისაკენ:

სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: **განმსაზღვრელი და განმავითარებელი.**

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შემოწმება დაუკავშირდეს არამხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, მოსწავლის მიღწევის დონეს საერთო ნორმასთან მიმართებით და იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რამდენად დაეუფლა იგი საგნობრივი პროგრამებით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რამდენად დაშორდა ან მიუახლოვდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, იგი განსაზღვრავს თითოეული მოსწავლის ცოდნის დონეს.

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მიზანის თითოეული მოსწავლის განვითარებისათვის სწავლების პროცესში მაქსიმალურად ხელშეწყობა.

ზოგადი განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღწერილობა:

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დაგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება: წინარე ცოდნის წარმოდგენების დადგენა: მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება: ცოდნის სამივე კატეგორიის ატვისების პროცესის შეფასება: ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება:	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება: ცოდნის სამივე კატეგორიის უნარის შეფასება: ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება:
წარმარების კრიტერიუმები	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან, წინარე დონესთან შედარებით:	მიღწევის დონე საგნობრივი საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით:
შემფასებელი და შეფასების	მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი,	მასწავლებელი: ქულა შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და

ფორმები	წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები: მოსწავლეები: თვითშეფასებითი. ურთიერთშეფასებითი:	სუსტი მხარეების აღწერით: ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით:

აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება „პროგრესი010“-ში ისევე როგორც საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: **განმსაზღვრელი და განმავითარებელი**
2. I-IV კლასებში და მე-5 კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში წლის ბოლოს კლასის მოსწავლეებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს. აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება. საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მე-4 კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება:
3. V კლასის მეორე სემესტრსა და VII -XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა -10:
4. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით ჩაეთვალა/ არ ჩაეთვალა:
5. დამატებითი სავალდებულო საგნებშიც მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. დამატებითი სავალდებულო საგნებში მიღებული შეფასებები არ იანგარიშება საფეხურის საერთო ქულის გამოთვლისას.

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	


განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები -ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები

ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

- **საგნის მიმდინარე საკლასო მიმდინარე, საშინაო და შემაჯამებელი** – დავალებების ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- **საგნის სემესტრული ქულა** – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში: (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით; გამოთვლის წესი იხ.ქვემოთ) ; სემესტრული ქულა მრგვალდება მთელი სიზუსტით;
- **საგნის წლიური ქულა** – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლის წარმოადგენს მე-5 კლასის წლიური ქულა რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია. წლიურ ნიშანში აისახება **წლიური გამოცდის ნიშანიც** რომელიც გათვალისწინებულია საბაზო და საშუალო საფეხურზე. თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია აღნიშნულ სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ნიშანზე (იხ. ქვემოთ, გამოცდის ტიპები); საგნის წლიური მრგვალდება მთელი სიზუსტით;
- **საფეხურის საერთო ქულა** – საფეხურის საერთო ქულის გამოთვლისას ჯამდება ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების რაოდენობაზე. საფეხურის ქულა მრგვალდება მათედიის სიზუსტით;

2. მოსწავლეთა შეფასების კომპონენტები

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:



1. მიმდინარე საშინაო დავალება
2. მიმდინარე საკლასო დავალება
3. მიმდინარე შემაჯამებელი დავალება

სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

3. მოსწავლის შეფასების კომპონენტები

საკლასო და საშინაო დავალებების კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა/ მიმდინარე საკლასო დავალება /მე-5 კლასის მეორე სემესტრი და მე-6-მე-12 კლასებში:

ბ/მიმდინარე საშინაო დავალება /მე-7-მე-12 კლასები/:

გ/შემაჯამებელი დავალება /მე-5 კლასის მეორე სემესტრი და მე-6- მე-12 კლასები:

დ/ I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება:

ე/ I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრსი საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება:

ვ/V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება:

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება /ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის ფადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება, პრეზენტაცია, დისკუსია, ექსპერიმენტის შეფასების სქემა/. ამგვარ დავალებათა შეფასებისათვის მასწავლებლებს აქვთ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმები / ნიმუშები იხ. ქვემოთ/.

ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს შემაჯამებელი დავალებების ჩასატარებელ სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას. ყველა მოსწავლისათვის სავალდებულოა შეასრულოს შემაჯამებელი დავალებების დადგენილი რაოდენობა.

	საგნების დასახელება	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1	ქართული	5	3/5	4/5	4/5	4/5	4/5	4/5	3/4
2	მათემატიკა	6	4/6	4/5	4/5	4/5	4/5	4/6	4/4
3	ინგლისური ენა	4	4/4	2/3	2/3	2/3	2/3	2/3	3/2
4	რუსული ენა	3	2/3	2/3	2/3	2/3	2/3	2/3	2/2
5	ისტორია			2/3	2/3	2/4	2/3	2/3	1/1
5	ჩვენი საქართველო	3	2/3						
6	ისტ	2	2/2						
7	სახვ და გამოყ. ხელ.	2	2/2	2/3	2/2	2/3			
8	მუსიკა	2	2/2	2/2	2/3	2/2			
9	სამოქ. განათლება					2/3			
10	სამოქ. თავდ. და უსაფ.				2/0				1/0
11	ფიზიკა				2/3	2/3	2/3	2/3	
12	ქიმია				2/3	2/3	2/3	2/3	
13	არჩევითი საგანი						1/1	1/1	1/0
14	ბუნებ./ბიოლოგია	4	3/4	2/3	2/3	2/3	2/3	2/3	
16	გეოგრაფია			2/3	2/3	2/3	2/3	2/3	

დისკუსიის შეფასების სქემა

	(8-10 ქულა)	(5-7 ქულა)	(1-4ქულა)
მოსმენა	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	ხშირად უსმენს და უყურებს ორატორს	იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს
საუბარი	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელს	ძირითადად მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელს	მეტყველება არამკაფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება
არავერბალური კომუნიკაცია	შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით, ყესტებით, გამომეტყველებით, ხმით)	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი	იშვიათად იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს
მონაწილეობა	უჩვენებს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრების გამოთქმით	ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის გარშემო	მცირე ინტერესი აქვს. არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას
კოოპერაცია	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს	ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს	იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს
მოსაზრების არგუმენტირება	მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები	მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით

ექსპერიმენტის შეფასების სქემა

	1-3 ქულა	4-5 ქულა	6-7 ქულა	8-10 ქულა
კვლევის მიზნის განსაზღვრა	არასწორად აყალიბებს მიზანს	ნაწილობრივ სწორად აყალიბებს მიზანს	აყალიბებს მიზანს	სრულყოფილად აყალიბებს მიზანს
საჭირო ინვენტარის განსაზღვრა	არასწორად ჩამოთვლის საჭირო მასალას	ჩამოთვლის საჭირო მასალის ნაწილს	ჩამოთვლის ძირითადად საჭირო მასალას	ჩამოთვლის ყველა საჭირო მასალას და ინვენტარს
კვლევის შედეგების ვარაუდი	არასწორად აყალიბებს ვარაუდს	გამოთქვამს სწორ ვარაუდს	აყალიბებს და ნაწილობრივ ასახულებს თავის ვარაუდს	აყალიბებს და სასბუთებს თავის ვარაუდს
კვლევის მიმდინარეობის აღწერა	არასწორად ჩამოთვლის კვლევის ეტაპებს	ჩამოთვლის კვლევის ზოგიერთ ეტაპს	ჩამოთვლის კვლევის ძირითად ეტაპებს	სრულად ჩამოთვლის ეტაპებს
მონაცემების აღრიცხვა	აღრიცხავს არასწორ მონაცემებს	აღრიცხავს მონაცემებს ნაწილობრივ და უსისტემოდ	აღრიცხავს მონაცემებს ნაწილობრივ და უსისტემოდ	აღრიცხავს მონაცემებს ნაწილობრივ და უსისტემოდ
მონაცემთა ანალიზი	არასწორად აკეთებს მონაცემთა ანალიზს	აკეთებს მონაცემთა ანალიზს მცირე ხარვეზებით	აკეთებს მონაცემთა ანალიზს	აკეთებს მონაცემთა სრულ ანალიზს
დასკვნა	არასწორად აკეთებს შესაბამის დასკვნას	აკეთებს ნაწილობრივ სწორ დასკვნებს	აკეთებს ძირითადად დასკვნებს	აკეთებს სრულფასოვან დასკვნებს

ნიმუში # 3

ინფორმაციის მოძიება

კრიტერიუმები	1-3	4-5	6-7	8-10
ინფორმაციის მოძიების წყაროები	იყენებს მხოლოდ საკუთარ ინფორმაციას	იყენებს მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას	იყენებს მხოლოდ რამდენიმე ინფორმაციის წყაროს	იყენებს მრავალფეროვან საინფორმაციო საშუალებებს
მოძიებული ინფორმაციის შესაბამისობა	მასალა არ არის საკითხის შესაბამისი	მასალა ნაწილობრივ შეესაბამება საკითხს	მასალა ძირითადად შეესაბამება საკითხს	მასალა სრულიად შეესაბამება საკითხს
მოპოვებული ინფორმაციის ორგანიზებულობა	მასალა არ არის სწორად ორგანიზებული	მასალა ნაწილობრივ ორგანიზებულია	მასალა ორგანიზებულია, მაგრამ რთულად აღსაქმელი	მასალა კარგად და მოსახერხებლადაა ორგანიზებული
მოძიებული ინფორმაციის ანალიზი	ვერ იყენებს სკოლის მასალას მიზნობრივად	ნაწილობრივ მიზნობრივად იყენებს მოძიებულ მასალას.	ძირითადად მიზნობრივად იყენებს მოძიებულ მასალას.	მიზნობრივად იყენებს მოძიებულ მასალას

ნიმუში #4

პრეზენტაციის შეფასების სქემა

ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)	
თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)	
საუბარი (გამართულობა, ტემბრი)	

აუდიტორიასთან კონტაქტი	
შემოქმედებითი უნარი	
დროის ლიმიტის დაცვა	

შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი: მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი სამუშაო, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ, სემესტრის განმავლობაში.

ნიმუში #1

1.1. პრეზენტაციის შეფასების სქემა

ამ შემთხვევაში მოსწავლეებს თითოეულ კრიტერიუმში ენიჭება ნული ან ერთი ქულა, საბოლოო ქულის გამოსაყვანად ითვლება მათი ჯამი, მაქსიმალური ქულა არის ათი ქულა

საინტერესო შესავალი (პრობლემის იდენტიფიკაცირება)	1
კვლევები/ნაშრომის წარმოჩენის უნარი	1
შემოქმედებითი უნარი	1
პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება	1
თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)	1
საუბარი (გამართულობა, ტემბრი)	1
თვალსაჩინოების გამოყენება	1
აუდიტორიასთან კონტაქტი	1
ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)	1
დროის ლიმიტის დაცვა	1
ჯამი	10

პრეზენტაციის შეფასების სქემა

N	კრიტერიუმები	1-3	4-5	6-7	8-10
1	საინტერესო შესავალი	უინტერესოა	ტრაფარეტული	არის მცდელობა აუდიტორიის დაინტერესების	საინტერესოდ არის მოწოდებული

2	თემის გასაგებად წარმოდგენა	ბუნდოვანია	ნაწილობრივ გასაგებია, განმარტებას მოითხოვს	ლოგიკურად არის აგებული, წარმოდგენილი საკითხები გასაგებია	ლოგიკურად არის აგებული, წარმოდგენილი საკითხები გასაგებია
3	საუბარი	გაუგებრად საუბრობს	იმეორებს ერთსა და იმავეს	გამართული და გასაგებია, საუბრობს დარწმუნებით	გამართული და გასაგებია, საუბრობს დარწმუნებით
4	დასკვნები	არ არის გაკეთებული	დასკვნები ულოგიკოა	ლოგიკურია, კარგად ჩამოყალიბებული და ორიგინალურია	ლოგიკურია, კარგად ჩამოყალიბებული და ორიგინალურია
5	აუდიდიტორიასთან კონტაქტი	ვერ ამყარებს კონტაქტს	პერიოდულად ცდილობს კონტაქტს	კარგად ფლობს კომუნიკაციის უნარს	კარგად ფლობს კომუნიკაციის უნარს
6	თვალსაჩინოების გამოყენება	არ იყენებს	იყენებს მწირად	იყენებს ცხრილებს, გრაფიკებს	იყენებს ცხრილებს, გრაფიკებს
7	პასუხები აუდიტორიის შეკითხვებზე	უჭირს პასუხის გაცემა	პასუხები არ არის გამართული	ყველა კითხვას პასუხობს	ყველა კითხვას პასუხობს

ნიმუში N2

2.1 პროექტის შეფასების სქემა

		ელემენტარული 1 ქულა (1-4ქ)	მისაღები 2 ქულა (5-7ქ)	ოსტატური 3 ქულა (8-10ქ)
1	მიზანი	არ არის კარგად გამოკვეთილი, ბუნდოვანია	ხდება ერთ მიზანზე ფოკუსირება	კარგად გამოკვეთილი მიზნები, მარტივად აღსაქმელი

2	ორგანიზება	სუსტად ორგანიზებული, არ არის იდეებს შორის ლოგიკური ჯაჭვი, რაც აზნებს მკითხველს/ მსმენელს	გააზრებულია თანმიმდევრულობა, ორგანიზების ნიშნით, ზოგი გადასვლა იდეებს შორის არის მარტივი, ზოგი გაუგებარი	კარგად ორგანიზებული ფორმატი, ლოგიკური გადასვლა ერთი იდეიდან მეორეზე, ორგანიზება ზრდის პროექტის ეფექტურობას
3	შინაარსის კორექტულობა	გვხვდება ხშირი შეუსაბამო, მცდარი ინფორმაცია, შეყავს შეცდომაში მკითხველი/მსმენელი	ძირითადად კორექტულია, შეუსაბამო ან მცდარი ინფორმაციით	მთლიანად კორექტული, ფაქტები ზუსტი და მკაფიო
4	ენობრივი გამართულობა	ენობრივად გაუმართავი, ხშირი შეცდომებით	ენობრივად გაუმართავი, მცირე შეცდომებით	ენობრივად გამართულია, დაცულია პუნქტუაციის ნიშნები
5	კვლევა	კვლევა არაეფექტურადაა დაგეგმილი, გამოყენებული წყარო არაა სანდო, ანალიზი ზედაპირულია	კვლევა დაგეგმილია, მაგრამ ჯგუფის პოტენციალი მთლიანად არ არის გამოყენებული, შეზღუდულია წყაროები, ანალიზი მისაღებია	კვლევა სწორად არის დაგეგმილი, გამოყენებულია არა ერთი წყარო და ანალიზიც სიღრმისეულია
6	თვალსაჩინოებები	თვალსაჩინოებები ხშირად შინაარსთან შეუსაბამოა, ან არ არის ჯგუფის მიერ შექმნილი	თვალსაჩინოების კავშირი შინა-არსთან არის, მაგრამ ერთფეროვანია, გამოიყენება მოძიებული და ჯგუფის მიერ შექმნილი	მრავალფეროვანი, შინაარსის შესატყვისი, აკურატულად შესრულებული

	1-3 ქულა	4-5 ქულა	6-7 ქულა	8-10 ქულა
კვლევის მიზნის განსაზღვრა	არასწორად აყალიბებს მიზანს	ნაწილობრივ სწორად აყალიბებს მიზანს	აყალიბებს მიზანს	სრულყოფილად აყალიბებს მიზანს
საჭირო ინვენტარის	არასწორად	ჩამოთვლის	ჩამოთვლის	ჩამოთვლის ყველა

განსაზღვრა	ჩამოთვლის საჭირო მასალას	საჭირო მასალის ნაწილს	ძირითადად საჭირო მასალას	საჭირო მასალას და აღჭურვილობას
კვლევის შედეგების ვარაუდი	არასწორად აყალიბებს ვარაუდს	გამოთქვამს სწორ ვარაუდს	აყალიბებს და ნაწილობრივ ასაბუთებს თავის ვარაუდს	აყალიბებს და ასაბუთებს ვარაუდს
კვლევის მიმდინარეობის აღწერა	არასწორად ჩამოთვლის კვლევის ეტაპებს	ჩამოთვლის კვლევის ზოგიერთ ეტაპს	ჩამოთვლის კვლევის ძირითად ეტაპებს	სრულად ჩამოთვლის ეტაპებს
მონაცემების აღრიცხვა	აღრიცხავს არასწორ მონაცემებს	აღრიცხავს მონაცემებს ნაწილობრივ და უსისტემოდ	აღრიცხავს მონაცემებს ნაწილობრივ და უსისტემოდ	აღრიცხავს მონაცემებს სრულად და სისტემურად
მონაცემთა ანალიზი	არასწორად აკეთებს მონაცემთა ანალიზს	აკეთებს მონაცემთა ანალიზს მცირე ხარვეზებით	აკეთებს მონაცემთა ანალიზს	აკეთებს მონაცემთა სრულ ანალიზს
დასკვნა	არასწორად აკეთებს შესაბამის ანალიზს	აკეთებს ნაწილობრივ სწორ დასკვნებს	აკეთებს ძირითადად დასკვნებს	აკეთებს სრულფასოვან დასკვნას

2.2 პროექტის შეფასების სქემა

ნიმუში # 3

3.1. რეფერატის შეფასების სქემა

ამ შემთხვევაში მე-3 და მე-5 კრიტერიუმები ფასდება 0-2 ქულით, ხოლო ყველა დანარჩენი 0 ან 1 ქულით. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა

1	მიზანი/თეზისი - კვლევის შედეგად გამოთქმული ძირითადი იდეა	1	
2	რეფერატის ორგანიზება	1	
3	შინაარსის კორექტურობა, ფაქტობრივი საიმედოობა	2	
4	ენობრივი გამართულობა	1	

5	კვლევა	2	
6	ილუსტრაციები/თვალსაჩინოებები	1	
7	შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება	1	
8	დასკვნები	1	
	ჯამი	10	

3.2. რეფერატის შეფასების სქემა

